

<p>საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება</p>	<p>ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35 ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება</p>	<p>რადიოფიზიკა</p>
<p>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</p>	<p>მეცნიერების მაგისტრი ფიზიკაში</p>
<p>პროგრამის მოცულობა კრედიტებში</p>	<p>სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „რადიოფიზიკა“ მოიცავს 120 კრედიტს, მათ შორის სპეციალობის არჩევით კურსს ეკუთვნის 10 კრედიტი, ხოლო თავისუფალ არჩევითი კრედიტების ჯამური მოცულობა შეადგენს 20 კრედიტს.</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</p>	<p>უზრუნველყოს მაგისტრის ზოგადი მეცნიერული და პრაქტიკული მომზადება. მოამზადოს პროფესიონალი ფიზიკოსები/რადიოფიზიკოსები, რომლებსაც ეცოდინებათ სხვადასხვა ფიზიკური ბუნების ტალღების გავრცელების ძირითადი კანონზომიერებები სხვადასხვა პარამეტრების მქონე გარემოებში. ფლობდნენ თანამედროვე საკომუნიკაციო სივრცეში, საკომუნიკაციო საშუალებების თეორიული ასპექტების კვლევის და შესწავლის მეთოდებს. შეეძლოთ რეალურ გარემოში ტალღური პროცესების აღწერა კარგად ცნობილი მათემატიკური, სპეციფიკური რადიოფიზიკური და მაგნიტოოპტიკური მეთოდებით, აგრეთვე რიცხვითი და კომპიუტერული მეთოდების გამოყენება და გარემოში ტალღური პროცესების პროგნოზირება რეალური და რიცხვითი ექსპერიმენტების მონაცემთა საფუძველზე.</p>
<p>სწავლის შედეგები (ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები)</p>	<p>საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს გამოუმუშავდება დარგობრივ კომპეტენციებს:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ფუნდამენტური ფიზიკის, სისტემური ღრმა ცოდნა (მაღალსიხშირული ელექტროდინამიკა, პლაზმის ელექტროდინამიკა, რხევების თეორია, ტალღური პროცესების თეორია, სტატისტიკური რადიოფიზიკა, მაგნიტური მოვლენების ფიზიკა და სხვა). 1. ხშირად გამოყენებადი კვლევის ცნობილი რადიოფიზიკური და მაგნიტოოპტიკური მეთოდების, სპეციფიკური მიახლოებითი მეთოდების, აგრეთვე რიცხვითი და კომპიუტერული მეთოდებისა და პროგრამული გარსაცმების სისტემური ცოდნა

	<p>(შეშფოთების მეთოდი, გეომეტრიული მიახლოების ოპტიკის მეთოდი, მონტე-კარლოს მეთოდი, ფურიეს ინტეგრალური მეთოდი, MathCad და სხვა);</p> <p>2. სპეციალიზირებული სასწავლო კურსების (ტალღური პროცესები შემთხვევითად-არაერთგვაროვან გარემოებში, ატმოსფეროს რადიოფიზიკა, გარემოს სპექტროსკოპია და მონიტორინგი, ოკეანოგრაფია, ლაზერული ფიზიკა, დისპერსიულ გარემოთა მაგნიტო ოპტიკა) სისტემური და უახლოესი ცოდნა.</p> <p>3. ექსპერიმენტის დამოუკიდებლად დაგეგმვა და შესრულება რადიოფიზიკური და მაგნიტოოპტიკური მეთოდების საფუძველზე.</p> <p>4. რადიოფიზიკური და მაგნიტოოპტიკური მეთოდების გამოყენება რიგი ეკოლოგიური ხასიათის ამოცანების გადაწყვეტისას ფიზიკის ქვედარგებსა და სხვა სფეროებში, კერძოდ, კავშირგაბმულობაში, ატმოსფეროს ფიზიკაში, გეოფიზიკაში, რადიონჟინერიაში, რადიომეტრიასა და მედიცინაში და სხვა. კომპლექსური პროექტების დაგეგმვა და გადაწყვეტის, ახალი გზების ძიება უახლოესი რადიოფიზიკური მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.</p> <p>5. გაანგარიშებების დამოუკიდებლად შესრულება, თეორიული და ექსპერიმენტული მონაცემების ანალიზური და რიცხვითი დამუშავება პერსონალური კომპიუტერის გამოყენებით, მათ შორის სხვადასხვა პროგრამული გარსაცმების და პროგრამირების ენის (ენების) გამოყენებით.</p>
<p>შეფასების წესი</p>	<p>სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით:</p> <p>ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი;</p> <p>ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;</p> <p>გ) (C) კარგი - 71-80 ქულა;</p> <p>დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;</p> <p>ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა.</p> <p>(FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს.</p> <p>(F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p>
<p>საკონტაქტო პირი</p>	<p>სრული პროფესორი ნუგზარ ლომიძე მობ: 577 179727 e-mail: gomidze@bsu.edu.ge</p>